№ 65 # სახალხო გაზეთი № 65

შაბათი, 24 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
****ხელის მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

კვირას, 25 ივლისს ქ. ქუთაისში, საფიჩხიის ეკლესიაში, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი
მარიამ გრიგოლის ასულის მჭედლიშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აცხადებს მისი დედა, შვილები, დები, ძმები და რძალი. (1—354—1)

ქუთაისის ოთხ-კლასიანი საქალაქო
სასწავლებელი
(1872 წლის 31 მაისის წესდებით)
აცხადებს:
1) მომავალ 1910—1911 სასწავლო წლიდან ვაკანსია იქნება მესამე და მეოთხე კლასში (ეს უკანასკნელი პირველ ენკენისთვიდან გაიხსნება).
2) სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე დაწერილ თხოვნასთან უნდა იყვეს: 1) წლოვანების მოწმობა და 2) სწავლა-ყოფაქცევის შესახებ მოწმობა იმ სასწავლებლისაგან, საიდანაც მოსწავლე გამოვიდა.
3) სწავლის ფულად დანიშნულია წელიწადში 12 მანეთი იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლები სკოლის შენახვაში მონაწილენი არიან, დანარჩენთათვის კი—18 მანეთია; სწავლის ფული უნდა შემოიტანონ ნახევარ-წლობით.
4) სკოლაში შემომსვლელ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 26-ს და გათავდება 30 აგვისტოს.
5) სასწავლებელი აძლევს მსურველთ დაბეჭდილ თხოვნის ბლანკებს. (3—6.—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პოპოვი—ყოვ.. ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—396

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] იას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
ხოდოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—235)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და სად. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—31)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

წიგნის მაღაზიების
საყურადღებოდ.
თანახმად ლიტყვიერის და წერილობითის თხოვნისა, იაკობ გოგებაშვილის ახალი მანეთიანი წიგნი (რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები) წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ სამ აბაზად ამა წლის ღვინობისთვის პირველამდის. შემდეგ კი მათთათვისაც მანეთად ეღირება. სრული იმედია, რომ მაღაზიები, რაკი თითქმის ნახევარ ფასად მიიღებენ ამ წიგნს „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან, თავის მხრივაც დაუთმობენ მანეთზედ ნაკლებ მყიდველებსა, მეტადრე სახალხო სკოლების მასწავლებლებსა... (8—6)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი
„ერი და კასტობრიობა"
კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნ შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.
ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—23)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე
ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.
ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
მიკირტუმოვი დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
ფონდოევი—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.
ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—76)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—115)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—173

ექიმი ბორჯომში
ა. ს. ალადაშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ერუსლოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—25

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—235

კვირეული ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
მოიკითხეთ კავკასიის რკინის გზათა წიგნის შკაფებში და მეგაზეთეებთან. ფასი ყველგან ორი შაური. (5—3)

# დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან
23 ივლისი.

**საზღვარ გარედ.**

**ბერლინი.** მოსავალი პურისა პრუსიაში უდრის 8,311.551 ტონს, შარშანდელთან შედარებით 160.000 ტონით ნაკლებია.

**სოფია.** სახალხო განათლების მთავარმა საბჭომ დაადგინა ბოლგარიის გიმნაზიებში რუსული ენის სწავლება მეოთხე კლასიდანვე შემოიღონ და არა მეხუთიდან, როგორც ეს აქამდე იყო.

**ლონდონი.** „ტაიმსში" დაბეჭდილია წერილი ფრენსის იუნგხებენდისა, რომელიც ინგლისის ექსპედიციის უფროსად იყო ტიბეტში. ამ წერილში ავტორი ეხება რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას და ის აზრი აქვს გამოთქმული, რომ შეთანხმებით ყველაზე მეტი ჩინელებმა მოიგეს, თუმცა ისინი თავისთვის იყვნენ და გარედან უცქეროდნენ, ინგლისელები როგორ ამყარებდნენ წესიერებას ურჩ ტიბეტელებს შორისაო. ორ სახელმწიფოს ასეთი მდგომარეობა სასაცილოაო. ინგლისისა და რუსეთის აგენტები ლოსაში თანხმობით მოქმედებენ, ახლავე იქცევიან კავშირში. იმათ შეეძლოთ ერთსა და იმავე დროს დაეცვათ თავიანთ ქვეყნის ინტერესებიც და თავიდან აეცდინათ ისეთი არეულობა როგორიც აქ არის დღესაო. შეაჩერებდნენ შეუგნებელ და უვიც ტიბეტელებს, და თავიდან აცდენდნენ მათ ჩინეთის მოხელეთა სასტიკობას. ტიბეტში მშვიდობიანობას დაიცავდნენ და ეს ყველაზე უფრო სიკეთეა რუსეთის და ინგლისისათვის. ჩინეთს სურს ისეთი საკონსულოს აგენტები იყოლიოს ტიბეტში, როგორც იმპერიის სხვა ქალაქებშია. უამ საშუალოდ ტიბეტში არეულობა არ მოისპობა და იარა მუდამ განუკურნებელი დარჩებაო.

**მადრიდი.** ანდალუზიის 138 საზოგადოებამ, რომელშიც საერთოდ 80.000 წევრი ითვლება, ადრესი გაუგზავნა კანალეხას და მოუწონა ანტიკლერიკალური პოლიტიკა. რესპუბლიკანელი სარიონო 25 ივლისს ჰპართავს მანიფესტაციას, წინააღმდეგ კლერიკალთა მიერ გამართულ მანიფესტაციისა,

**პარიზი.** მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა დაადგინეს მხარი დაუჭირონ რკინის გზის მოსამსახურეთ ორივე მოთხოვნათა განსახორციელებლად.

**ჰამბურგი.** გემების ასაგებ დიდ ქარხნებში 8000 მუშამ თავი გაანება სამუშაოს. მუშები თხოულობენ სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის მომატებას.

**სტოკჰოლმი.** საერთაშორისო მშვიდობიანობის კონგრესის წევრთა პატივსაცემლად გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრო 600 წევრი.

კონგრესმა დღეს მიიღო რეზოლუცია, ფინლანდიის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია რომ რუსეთის მთავრობამ და საკანონმდებლო დაწესებულებებმა დაარღვიეს სტატუტები და წინასწარ არ დაეკითხნენ ფინლანდიელებს, თანხმანი იყვნენ თუ არა ისინი ამაზე. გამოთქმულია იმედი, რომ მომავალში აღდგენილ იქნება ისეთი დამოკიდებულება, რომელიც უფრო შეეფერება რუსეთისა და ფინლანდიის ნამდვილ ინტერესებს.

**პარიზი.** პერლაშეზის სასაფლაოს მოიჯარადრეთა ლოკაუტის მიხედვით, ყველგან გამოცხადდა ლოკაუტი პარიზის სხვა სასაფლაოს მუშათა წინააღმდეგ.

**ბუხარესტი.** ბიტოლიაში მოხდა კრება მაკედონიის რუმინელებისა. კრებაზე მონაწილეობდა 85 კაცი. კრებამ განიხილა საეკლესიო და სასკოლო საკითხები და დაადგინა ალ-ძრას შუამდგომლობა დაწესდეს რუმინიის საეპისკოპოსო. ბრიტოლიასა, ოხრიდსა, პრესპასა, ვერიასა, ვედონს და კასტორიაში,

**პარიზი.** იმ სახლში, რომლის ძირის სართულში მუშის ოჯახობა სცხოვრობს, ხოლო მეორე სართულში პოლიციელის ოჯახობა, ვიღაცას დაედო ორი პატრუქიანი ყუმბარა. ერთმა ყუმბარამ იფეთქა, მაგრამ ზიანი არავის არ მიაყენა.

**სტოკჰოლმი.** მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესმა სიხარული გამოსთქვა რუსეთ-იაპონიის შორის მომხდარ შეთანხმების გამო. ამ შეთანხმებით მშვიდობიანურად სწყდება ყველა სადაო საკითხები და მომავალში ამ ორი სახელმწიფოს შორის უთანხმოება შეუძლებელიაო.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჯორჯ ბიუკენანი, რომელიც ჰაგაში სრულუფლებიან მინისტრად იყო, დაინიშნა ინგლისის ელჩად პეტერბურგში.

**რუსეთი**

**ჰაერში ფრენა.**

**ეკატერინოსლავი.** დიდძალ ხალხის თანდასწრებით, სადაც მეტად მშვენიერი, წყნარი ამინდი იყო, უტოჩკინი მეორედ აფრინდა ჰაერში. ავიდა 75 საჟენის სიმაღლეზე, გააკეთა რამდენიმე წრე და შემდეგ ნელ ნელა დაეშვა ძირს. უტოჩკინი ორჯელ აფრინდა და დაჰყო ჰაერში ნახევარ საათს.

**ბლეკდული.** ავიატორი შვეზი აფრინდა ვერს ნახევრის სიმაღლეზე (5350 ფუტი).

**ბრიუსელი.** ავიატორი კინე აფრინდა ჰაერში. ჰაეროპლანით და ძირს დაშვების დროს ჩამოვარდა და მოკვდა.

**პეტერბურგი.** ირკუტსკის გენერალ გუბერნატორი, გენერალი სელივანოვი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

**ვარშავა.** ელექტრონულ ქუჩაზე მე-26 სახლის ეზოში რაღაც მიზეზის გამო, მოხდა აფეთქება. ცეცხლი მოედო სახლის წინა ნაწილს. დაიწვა 7 კაცი; რომელთაც ეძინათ ცეცხლის გაჩენის დროს.

**ორიოლი.** საინსპექტორო სავარჯიშო სროლა აფიცრებისა უბედურობით დამთავრდა. პოდპორუჩიკმა ჩერებსინოვმა რევოლვერით მოჰკლა კაპიტანი სმირნოვი.

**ვილნო.** ხალხის სიფხიზლის საქალაქო კომიტეტმა დაადგინა დაარსონ კომიტეტის ქალთა განყოფილება, რომელიც უნდა შეებრძოლოს ქალებისა და ბავშვებს შორის გავრცელებულ ლოთობას.

**მოსკოვი.** მომღერალთა და მგალობელთა მოღვაწეების კრება დამთავრდა. სხვათა შორის სასურველად იცნეს დაარსდეს თავისუფალი კონსერვატორიები.

**კრონშტატი.** დაინიშნა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ნალმოსან გემის № 102 ქვაბის აფეთქების მიზეზი.

**ხოლერა**

საავენტოს ცნობები ხოლერის მსვლელობის შესახებ: პეტერბურგში ავად გახდა 60, გარდაიცვალა 21, ავად არის 603. ქალაქს ახლო ავათ გახდა 6, გარდაიცვალა 4, ავად არის 22. კვირის განმავლობაში ბალახნინსკის მაზ. ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13. ნოვოჩერკასკში 18 ივლისიდან ავად გახდა 60, გარდაიცვალა 28, დონის როსტოვში და ნახიჩევანში ავად გახდა 143, გარდაიცვალა 45, ტაგანროგში ავად გახდა 75, გარდაიცვალა 33, აზოვში ავად გახდა 5. გრუშევის ალექსანდროვსკაში ავად გახდა 135, გარდაიცვალა 81, ოლქებში ჩერკასკისაში ავად გახდა 332, გარდაიცვალა 155, როსტოვისაში ავად გახდა 200, გარდაიცვალა 87, ტაგანროგისაში ავად გახდა 784, გარდაიცვალა 337, დონეცისაში ავად გახდა 112, გარდაიცვალა 229, პირველ დონეცისაში ავად გახდა 219, გარდაიცვალა 113, მეორე დონეცკისაში ავად გახდა 84, გარდაიცვალა 150, სალსკისაში ავად გახდა 254, გარდაიცვალა 152, უსტმედვედინისა და ხოპერისაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 5, ოლქში ავად გახდა სულ 3011, გარდაიცვალა 1405, ავად არის 2108. ზემლიანის მაზრის 13 სოფელში სამი კვირის განმავლობაში ავად გახდა 149, გარდაიცვალა 58, სიმბირსკში ეპიდემიის გაჩენიდან 20 ივლისამდე ავად გახდა 82, გარდაიცვალა 35, ავად არის 36, ნოვოროსიისკში 17 ივლისიდან ავად გახდა 410, გარდაიცვალა 146, სამი დღის განმავლობაში ავად გახდა 46, გარდაიცვალა 4, ატკარსკში ავად გახდა 1, მაზრაში ავად გახდა 2, ეპიდემიის გაჩენიდან სულ 11, გარდაიცვალა 4, სარაპულის მაზრაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5, ურჟუმისაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4, ელმუჟისაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3, იაროსლავში ავად გახდა 1, ყარსში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 2, ელენსკში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, ნიკოლაევსკში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4, ქალაქის ახლო სოფლებში ავად გახდა 4, ავად არის სულ 104.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

**ქართველ კათოლიკეთა მღვდლის გარდაცვალება.** 13 ივლისს, ს. უდეში, ახალციხის მაზრაში ხოლერით გარდაიცვალა ქართველ კათოლიკეთა მღვ. სიმონ ქი-

ლაშვილი. სიმონ ქილაშვილი შთამომავლობით ქართველი იყო, ხოლო სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონ ის მღვდლად ირიცხებოდა და უდის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში ზოგს ლოცვებს სომხურად ასრულებდა. სიმონ ქილაშვილი კარგა ხანია რაც უდეში მღვდლობდა და მრევლში უანგარო მშრომელი იყო, ქომაგი შეუძლო გლეხ-კაცობის და ამასთანავე დიდი მოსარჩლე ქართულ ენის და ქართულ მწერლობის და ისტორიისა. იგი კარგად კითხულობდა ქართულ ისტორიულ წიგნებს და მასთან სომხურს ენაზე დაბეჭდილს წიგნებსაც ჯეროვნად ადევნებდა თვალ-ყურს. იგი იყო გულ-მხურვალე მფარველი ქართული ენისა. სოფ. უდის სკოლის და სამკითხველოს წინაშე დიდი ამაგი მიუძღვის. საზოგადოდ იყო მეტად პატიოსანი მშრომელი მოძღვარი. იმისმა სიკვდილმა ყველა დაალონა.

✦ **ხოლერა ქუთაისში.** ხოლერა ქუთაისშიაც გაჩნდა. 21 ივლისს ქალაქის გამგეობას დეპეშა მიუღია ტფილისიდან, რომ საეჭვოდ მიჩნეულ ავადმყოფთა განავალი გაშინჯეს და ხოლერის ვიბრიონები აღმოჩნდა. ამ ამბავმა დააფაცურა სასანიტარო კომისია და გადასწყვიტა ყოველ დღე საღამოს 8 საათზე ჰმართოს კრებები ხოლერის წინააღმდეგ საჭირო ზომების მისაღებად.

თუ აღმოჩნდება, რომ 14 და 18 ივლისს ავადგამხდართა პირნაღებში ხოლერის ვიბრიონებია — ქალაქის გამგეობა მოიწვევს ორ ექიმს და თითოს დაუნიშნავს თვეში 300 მანეთს, მოიწვევს ფერშლებს და დაუნიშნავს თითოს 100 მანეთს თვეში. ბარაკის ექიმი მუდამ ავადმყოფთან იქნება, თანაშემწედ დაუნიშნავენ მეხუთე კურსის სტუდენტებს, რომელსაც მიეცემა თვეში 100 მანეთი ეხლავე უნდა გადააკეთონ გადამდებ სენის საავადმყოფო ხოლერიანთა საავადმყოფოდ. თუ ქუთაისში რამ შემთხვევა იქნება ხოლერით ავად გახდომისა სალორიის ტყეში უნდა გაიმართოს ბარაკი ხოლერიანთათვის.

19 ივლისს ავად გახდა მუშა ნოდია. ავადმყოფი გაგზავნეს ხოლერიანთა საავადმყოფოში. ნოდია მეორე დილას გარდაიცვალა.

**ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ევგინე“ — შირვანზადესი, თარგმანი ყ. კ ნის. (სურათები: კორინილის ქალის გუსტი პორტრეტი—მარმარილო. ქანდაკება ი. ნაკოლაძისაპ კნუტ ჰამსუნი, იაგელას ძეგლი კრაკოვში, თამარ და არკადი მარტიროსიანცები (ექიმ ალამალოვის მოკვლის გამო).**

✦ **პანაშვიდი.** სამტრედიიდან გვატყობინებენ, 20 ივლისს ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქნა პანაშვიდი ილია ხონელის ბახტაძის გარდაცვალების ათი წლის თავზე. დაესწრო გამგეობის წევრები და საზოგადოება.

✦ **ხოლერა კასპში** (გორის მაზრა) კასპიდან გვატყობინებენ, რომ 21 და 22 ივლის ხოლერით გარდაიცვალა 10 კაცი, ავად არის 11 კაცი. ფერშალი ყოველ დღე ს. ქალიდან მოდის და ათვალიერებს ავადმყოფთ. მეტი ნაწილი ავადმყოფებისა წამალს არა სვამს, გაიძახის მოგკვლავსო, ექიმის წამალს ყურადღებას არ აქცევენ და მკითხავთან გარბიან

23 ივლისს მთელი სოფელი მივიდა ადგილობრივ მღვდელთან და სთხოვა პარაკლისი გადაიხადეო. მღვდელმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ხალხს წაუკითხა წიგნი, სადაც დაწვრილებით აწერილი იყო, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ხოლერის წინააღმდეგ, როგორ უნდა მოუარონ გლეხებმა თავს, რა სჭამონ, რა დალიონ. ურჩია მღვდელმა წამალი სვითო. რაც ექიმმა გირჩიოთ ყველაფერი შეასრულეთო. ამ დროს გადავარდა ერთი ქალი და მორთო საზარელი ღრიალი. დაიძახეს ქადაგი, ქადაგიო. მღვდელს თავი გაანებეს და მივიდნენ, ქადაგს დაუგდეს ყური.

✦ **ყალბი ფული.** სოფ. ბახირჯინას ახლო მაძებარ პოლიციის განყოფილების მოხელეებმა კავკასიის გზაზე მიმავალ ურემში, იპოვეს 1000 მან. ყალბი ოცდახუთ მანეთიანები.

✦ **მკვლელობა საპატიმროში.** ამ დღეებში სოხუმის საპატიმროში პატიმარმა კვარცხელიამ დანით მოჰკლა პატიმარი ი. ლოლუა, რომელთანაც მას ძველი ანგარიშები ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ ლოლუას, როდესაც პოლიციის. დარაჯად ყოფილა, შეუპყრია კვარცხელია, რომელიც კატორგიდან ყოფილა გამოქცეული, და პოლიციისთვის გადაუცია. კვარცხელიამ შური ეხლა იძია. მივარდნია ლოლუას, დაუხეთქებია ძირს და დანა ჩაუცია გულში.

✦ **საიდუმლო სტამბის აღმოჩენა.** 8 ივლისს, ღამე ეკკლესიის აღმართზე, მე-8 სახლში დამცველ განყოფილების აგენტებმა აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტისა. იმავე შენობაში, სადაც სტამბა იყო მოთავსებული, იპოვნეს დაბეჭდილი არა ლეგალური ლიტერატურა. ამ საქმის გამო დააპატიმრეს 8 კაცი.

✦ **მატარებელს ქვეშ მოყოლა.** ყვირილიდან გვატყობინებენ, მატარებლის სადგურზე ვარჯიშობის დროს მემანქანის თანაშემწე ივანე კლიმენკო მატარებელს ქვეშ მოჰყვა და მოკვდაო.

✦ **თავდასხმა.** 17 ივლისს, სად. ალსტაფაში ვილაც ბოროტმოქმედნი ორჯელ დასცემიან სადგურის სადარაჯო ბინას, მაგრამ დარაჯებს ორჯელვე განუდევნიათ თავდამსხმელნი. ორივე მხარეს რამდენჯერმე გაუსროლიათ თოფები, მაგრამ უმნიშვნელოდ.

✦ **ჩამოხრჩობა.** 23 ივლისს დილის $4^1/_2$ საათზე სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მადატ მუსტაფ-ოღლის და ჯავატა მუსა-ოღლის პოლიციის ურიადნიკის მოკვლისთვის ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

✦ **ჰაერში ფრენა ტფილისში.** აგვისტოს პირველ რიცხვებში ტფილისში მოელიან კიევის ჰაერში მფრენავთა საზოგადოების წევრს ვ. ს. მეხს და ჰაერში მფრინავს ფ. ლ. გეინს, რომლებიც საჯაროდ რამდენჯერმე აფრინდებიან ჰაერში.

✦ **გადასახლებულის დაჭერა.** 22 ივლისს მეოთხე უბნის ბოქაულმა იარმუკაში შეიპყრო ტფილისის გუბერნიის საზღვრებიდან ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული არშაკ ზურაბოვი.

✦ **უგზოუკვლოთ დაიკარგა.** ამატუნიევის ქუჩაზე მცხოვრები 15 წლის ქალი კლავდია შტენისა. რომელიც 18 ივლისს გამოსულა სახლიდან და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა. დაკარგულმ მიხაკისფერი ტანისამოსი აცვია, სახე ჰორფლიანი აქვს.

✦ **სასანიტარო ინსპექციის ცნობებით.** 22 ივლისის დილის 9 საათიდან 23 ივლისის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა 4, და ხოლერის ნიშნებით 4—ამ დღემდე ხოლერიანთა ბარაკში ირიცხებოდა 54 კაცი, მიემატა 4. გამოეწერა 6, გარდაიცვალა 6, ამ ჟამათ ბარაკშია 46 კაცი.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 22 ივლისს პოლიციამ ჩხრეკის დროს დააპატიმრა მეექვსე უბანში 14, მერვეში—5 და მეათეში—2 უპასპორტო კაცი, ამავე დღეს პოლიციამ ჩხრეკის დროს შეიპყრო მეხუთე უბანში 21 და მერვეში—16 უპას პორტო კაცი.

✦ **ხოლერა.** 22 და 23 ივლისს ხოლერით ავად გახდენ და ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს: 1) გერმანელი შ. ბერტა ეილიტცი 2). ტფილისის მოქალაქე ქალი ე. ა. შიხიევისა 25 წლ., 3) სპარსეთის ქვეშევრდომი ქალი გოზა ისაკიიზი 30 წლისა 4) ერევნის მოქალაქე ა. ისკანიანცი 24 წლ. 5) თავშესაფრის ქუჩაზე გორის მაზრის მცხოვრები კ. თუხარელი 47 წლ. 6) კუშიის შესახვევში ნოვობაიაზეთის მოქალაქის ცოლი ნ. ი. სარაჯევისა 21 წლ. 7) შერემეტიევის ქუჩაზე ზ:დონის მაზრის მცხოვრები დარია არნაუტოვისა 50 წლისა 8) სამღებროს ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომი არისტაკ ტერავ-ტისოვი, 9) არარათის ქუჩაზე სიღნაღის მოქალაქე ქალი ევა მარტიროსოვისა 32 წლ. 10) ეჩმიაძინის ქუჩაზე სიღნაღის მოქალაქე ქალი ევა სტეფანოვისა 40 წლ. 11) და შერემეტიევის ქუჩაზე ქალაქ იაროსლავის მოქალაქე ნ. ა. პაგინი. ავათმყოფთა ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **ჯარისკაცის შეპყრობა.** 22 ივლისს, მადნის ქუჩ. პოლიციამ შეიპყრო 153 ბაქოს ქვეითა პოლკის ჯარისკაცი იუსუფ ხალმიკოვი, რომელიც პოლკიდან გამოიპარა 10 ივლისს. ხალმიკოვს უკანვე აგზავნიან.

✦ 22 ივლისს სანიტარმა მიხინთვმა ბოქაულ ფლამანთან ერთად მთელიქაბაზოვის თევზეულების საგაჭრო დუქანი დათვალიერა. აღმოჩნდა 4 გირვანქამდე გაფუჭებული დამბის თევზი, ამავე დღეს მათვე „ნავოდონ“ სარატაშვილის თევზეულების დუქანიც დაათვალიერეს, იქაც 6 გირვანქა გაფუჭებული თევზი ნახეს. ორივე გაჭრებს სამართალში აძლევენ.

✦ ტფილისში მოვაჭრე სპარსეთის ქვეშევრდომმა სეიდაბდულა ოღლიმ 22 ივლისს განუცხადა პოლიციას რომ მას საკუთარ საწყობში (ასამ'აკ'ურე) გარაპეტ სანტერჯიანცმა და ტიგრან სუკასიანცმა მოჰპარეს 109 მან. ფული და 4 მანეთათ ღირებული ვერცხლის ბეჭედი.—ქურდები პოლიციამ უკვე შეიპყრო.

✦ 21 ივლისს, თუაფსეს გზაზე გადაბრუნდა სახაზინო ავტომობილი „ბრანკა“. მოკვდა ავტომობილის შოფერი ორლოვსკი.

# წერილი ქართლიდან

პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს ს. მერეთი, გორიდან ასე ოცდაათი ვერსის მანძილზე. მდებარეობა ჩინებული აქვს, ჰავა სალი და სასმელსარწყავი წყალი შემრგო და ბლომათ. სოფელი მთელ ქართლში განთქმულია თავისი მშვენიერი ხილის ბაღებით. საერთო უბედურობა ჩვენებური სოფლებისა ამასაც ვერ აუცდენია თავიდან. მოგახსენებთ საშინელს ვიწროობასა და უსუფთაობაზე. სახლი სახლზეა მიკრული, ბაკი გადაბმულია ბაკზე. როგორც ეზოები, ისე ქუჩები, სავსეა ათასნაირის ნაგვითა. ზოგ ადგილას ისეთი ცუდი სუნი ტრიალებს დამყაყებული საქონლის პატივისა და ვჯონებ ადამიანებისაცა, რომ გამვლელმა ცხვირზე მაგრა უნდა მოიჭიროს ხელი. მოგეხსენებათ, ჩვენებურ სოფლის მცხოვრებელთ ფეხის-ადგილების გამართვა საჭიროდ არ მიაჩნიათ და, ღობეებზე დაიმედებულნი, როგორღაც ახერხებენ და უამათოთაც იოლად გამოდიან. მას აქეთ, რაკ მერეთი დაარსებულა, ექვი არ უნდა, ქაურ გზებსა და ქუჩებს ცოცხი არ მიჰკარებიათ. ეს ამბავი კერძო, განსაკუთრებული მოვლენა არ გეგონოთ. ესეც მთელი ჩვენი სოფლების საერთო თვისებაა. რაღა თქმა უნდა, უპიდურებაა! მაგრამ ამაზე უფრო დი... უბედურობა იმაში მდგომარეობ... რომ მთელი არსებით დაჩვეულ... სოფლის მცხოვრებელი ვერც ... გრძნობს ამ უსუფთაობის განუზომ... ბოროტებასა.

მერეთი საბატონო სოფელია ... როგორც ყველა ამისთანა სოფლებშ... ისე აქაც ზოგიერთა ძნელად დასავ... წყარი ბატონ-ყმობის დროინდელ... ავზნეობანი უკანასკნელ ხანამდე ძ... ლებურადვე ჰარპაშობდნენ. ყველ... კარგათ ვიცით, რა შეილიცა ბძანე... ბა საზოგადოთ, ბატონი, მაგრამ და... ხსნას ღმერთმა ყოველი ქრისტია... კუდა-აზნაურას ბატონობისაგან!.. ... და-აზნაურა უწინარეს ყოვლისა ამ... ზარია და ქირვეული, ლოთი და ... მუცელა. მადა ზღაპრული ბელტ... ყლაპიასი აქვს, შეძლება კი ნაცა... ქექიასი. და თუ ყველა ამასთან მა... კეთილ-შობილება ხელ-ღონიერი... ბძანდება, მაშინ, შენი მტერი... სწ... რეთ ღვთის რისხვად ევლინება ... უბადრუკ სოფელს, რომელშიაც ა... რებს იგი თავის პირუტყვულ სიც... ცხლესა. რაიმე საქმის გაკეთება, ... ტიოსანი შრომა ჭირივით ეჯავრე... მთელს დღესა და ღამეებში მ... მგელივით დაწრწის, დათარეშობს ... ვაი მას, ვისაც იგი ან მტრად შე... რება, ან სტუმრად ეწვევა! ცხად... რომ ერთი ამისთანა მებატონის ყ... ლაც კი ნამდვილი ჯოჯოხეთი უნ... იყოს მთელი სოფლისთვის... და წა... მოიდგინეთ უბედურება მერეთი... რომელსაც ორი-სამი ამისთანა მე... ტონე არ გამოლევია ამ უკანასკნ... ხანამდე. მთელ სოფელში უამათო... ვერც ქვევრი მოიხდებოდა, ვერც ... ყი გამოიხდებოდა; ჰაერში ფრინვე... ვერავინ ჰკლავდა და წყალში თევ... დაჭერას ვერავინ გაბედავდა!.. წყა... საც და ჰაერსაც ბაჟი ედოთ ამათგ... პატარა ლიახვი ზედ ართავს მერეთ... აუარებელი ქვა და ქვიშა ჰყრია ... ნაპირებზე, მაგრამ სოფელს არ მ... ლო ხელი ეხლო ან ერთისა, ან მ... რესათვის. ამათზედაც გადასახადი ი... დაწესებული. ამის გამო უბედური... რეთელები ნოტიო და შმორიან ... წებში იხრჩობოდნენ იმ დროს, რ... ცა მათ ცხვირ წინ აუარებელი ... ლის საშენი მასალა ეყარა, ბუნე... ძალთაგან მუქთად მოტანილი. ... დროს, მოუმზადებელთ მოგვას... განმათავისუფლებელმა მოძრაობ... მაგრამ მაინც კი ბევრი სიკეთე ... თესა მან ჩვენ გათახსირებულ ს... ლის ცხოვრებაში... ბევრს ფეო... ლურ ავზნეობას აუგო სამუდამ... ანდერძი. უნდა დაგენახათ მაშინ, ... გორ იცვალეს ფერი ჩვენმა ბელ... ყლაპია კუდა-აზნაურებმა!.. ხალ... მრისხანე პასუხის გების წინაშე ...

# ამონაკვნესი

VI

**„მგლოვრენი გულითა“.**

გამხმარს, ფოთლებისაგან გაცრცვილს წიფელას დიდი ტოტები-ღა შერჩენოდა; ზოგიერთი ცათა აღეპყრო—უზენაესს შეჰღაღადებდა: სიყმაწვილის მწვანე სამოსელი რათ წამართვი, ისევ დამიბრუნე, მომასხიო; ზოგი კი ტბისაკენ გადაეზნიქა —წყალსა სთხოვდა: ფესვები დამიპკურე, გამანედლე, მიშველეო.

შუაზე მიმავალი გლეხი, წელში ნაჯახ-გაყრილი, ხშირად შეჩერებულა, ყალიონი მოუწევია და შორიდან დაუწყია ცქერა წიფელისათვის: „აი გაწყდა შენი რჯული! მოჭრაც რომ მოვახერხო, ამოთრევა აღარ გინდა?! იქვე ვერ დააპობ, და ერთიანად ამ ხრიოკში ოცი უღელი ხარი ვერ ამოიტანს. იქ ჩალპება ტყუილ-უბრალოდ, უსარგებლოდ“. გლეხმა არ იცოდა, რომ ტბის გამოღმა ნაპირი ცხოველებს, ფრინველებს, თევზებსა და ქვემძრომთ სადარბაზო ადგილად დაენიშნათ და სამასლაათო ოთახათ სწორედ გამხმარი წიფელა ამოერჩიათ. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს მოსისხლე მტრები, საყვარელი მეგობრები და დიდი ხნის უნახავი მიჯნურები; აქ ჰკრებდნენ ცნობებს მტრის დაძაბუნებაზე, მოყვრის გაძლიერებაზე; აქ იგებდნენ ქვეყნის ჭირ-ვარამს, ახალს მიმართულებას, მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებს. მასლაათის შემდეგ დაიშლებოდა საზოგადოება. ვისაც სამტრო რამ ჰქონდა შეეძლო ჟინის ამოსაყრელად მტერს ფეხ-დაფეხ გაჰყოლოდა; ამ ადგილას მტრობა კი ყოვლად შეუწყნარებელი იყო.

ნაცრის ფერს ცაზე ფერ-მიხდილი მთვარე ზანტად მიიზლაზნებოდა. სადარბაზო ტბის პირი სავსე იყო მოწყენილი სტუმრებით. თრითინა, ამ საღამოს დიასახლისი, ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა და სცდილობდა როგორმე სტუმრები გაერთო, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

თვით სამასლაათო ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა. ტოტზე ძლივს იჯდა ჩვეულებრივზე უფრო დაღვრემილი, მოთენთილი ძერა. ცოტა დაშორებით ჩხიკვი ფრთებს წამ-და-უწუმ ისწორებდა. ქვევით, სადაც სამი კუნძი იყო, ხეს შემოჰხვეოდა გველი; კუდზე თავი დაედვა და სულგანაბული რაღაც ბოროტ აზრს ამუშავებდა. წიფელს შუაში ხის ძირი ორ ტოტათ იყოფა, აქ ანთებდა თვალებს ბუ; ძირში ბაყაყი ჩაცუცქულიყო და შიშით შეჰყურებდა გველს, მაგრამ აბრას მაინც არ იტეხავდა. ფესვებთან მუდუს *) ამოეყარა მიწა და ცის შიშით იქვე გაქვავებულიყო. ტბიდან კი ნახევრად ამოეყო თავი კიბოს და ძლოკვის ვერცხლის ფერს ტანს უხმოდ შეჰხაროდა.

თრითინა მოცუნცულდა: რა მოხდა? რა ამბავია? ისე გაჩუმებულხართ, თითქოს ათი კუბო იდოს ახლო მახლო!

— ვერ უყურებ, ყველაფერი მოწყენილია და ჩვენ რა გაგვახარებს. ერთი მზის სხივი მაინც ჩამოვარდებოდეს, გათბეს კაცი—უპასუხა ძლოკვმა.

მზე! მზე! რა არის ეს თქვენი მზე? დაგიჟინიათ მაცოცხლებელი მზეო და სად არის, ნეტა ვიცოდე? მაცოცხლებელი და გამთბობი მზე ღამე ხომ არ გამოიხედავს არასფრისათვის. დღისითაც ხშირად გადიხურავს ღრუბელს, ნისლს და სადარის ღმერთმა იცის. ხან და ხან კი ისე დააცხუნებს, სულს ვერ ამოითქვამ. მზე! რა ტიალათ მინდა მზე! მომეცით სხვა და სხვაობა პინების! დღეს რომ პატარა ჩანჩქერის რიკ-რიკს შევხაროდე, ხვალ თვალი დამიბრმაოს ზღვის სივრცემ; დღეს რომ აქ, დაბლობში ვარ, ხვალ თვალუწვდენელ სალს კლდეზე ავვიდე; დღეს ქაცვმა დამკაწროს ხვალ კი იაში ჩავიძინო; დღეს ყინვის სუსხმა გაიაროს ტანში; ე! მაშინ მზის სხივებსაც შეუშვერ ზურგს. ეს იქნება ცხოვრება, თორემ მზე, მზე, მარტო მზე და მეტი არაფერი! —პაფოსით წარმოსთქვა კიბომ.

თუ ძმა ხარ მითხარი რა არის ეს მზე?—დაეკითხა მუდუ ბაყაყს.

— არ ვიცი შენ არ მომიკვდე. მზე—მზე არის, მეტი რა გითხრა?!

ვერ გამიგია! აქედან, ამ დედამიწიდან, ყველაფერი გარბის ზევითკენ: ფესვი, წყალი, ჭია-ღუა, ყველაფერი ისწრფვის ზევით ამოვიდეს დაინახოს მზე, ცის ლაჟვარდი. მეც ხშირად მივეშურები, მაგრამ, რომ გავალ სულ ზედა-პირზე, შემეშინდება აქ ახალი ნეტარებისა; ვფიქრობ სიხარულისაგან გული გამისქდება. რამდენჯერ გადამიწყვეტია მოვკვდე, ოღონდ ნეტარება ერთხელ მაინც ვიგრძნო—მეთქი. მაგრამ მაშინვე შემშინებია, ვაი თუ უჩვევმა ჰაერმა მომკლას და სიამოვნება კი არა მივიღო რა. ბევრი ჩვენგანი დაიღუპა ასე; მოკვდა, მაგრამ რომ არ ვიცი ნეტარების მხედველობაში ალმა დასწვა ისინი, თუ უჩვევმა ყურთა სმენა რომ დაკავებული მაქვს მდგომარეობამ ნელ-ნელა ტანჯვათა შორის ამოაძრო მკვნესარე სული. დედა, და მანდ დამეხოცნენ გაშლილ ცის ქვეშ. რომ იცოდე, რა პატარა თეთრი ხელები ჰქონდათ, რა ნაზი ბინგლი ესხათ, როგორის სამარადისო სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი. მეც ამოვიდოდი, რომ ვიცოდე დანამდვილებით რა მომელის; ვაი თუ აქაური წყვდიადს უფერულობას მანდ კიდევ გულშემზარავი რამ დაემატოს.

ისევ სიჩუმე ჩავარდა. ისევ მოწყენა გამეფდა. საიდგანაც მიცუნცულდა თრითინა.

ბატონო ძერა, თქვენ რომ არ შეგეფერებათ ასეთი დადუმება! თქვენ მაგალითს უნდა აჩვენებდეთ ახალ თაობას საზრიანათ დროის გატარებისას. რამდენი გინახავთ, რამდენი თავს გადაგხდენიათ—უამბეთ, ქკუას დაარიგეთ მსმენელნი.

უკაცრავად, ქალბატონო, დღეს ისეთი უსიამოვნო სურათები ვნახე, რომ ძლივს დავმშვიდდი. არ მინდა მოგონებით ისევ ავშალო შავი ფიქრები.

შენს ყოველს სიტყვას აღმზდელობითი მნიშვნელობა აქვს. როდის შევესწრებით მეგობრულ თქვენს რომ ხილვას. ისე ძვირათ მობრძანდებით ხოლმე.—ჩაასივდა თრითინა.

— სთქვი, სთქვი რამე, თუ კაცი ხარ. დაარღვიე ეს სამარისებური სიჩუმე. იქნება შენი შავბნელი ამბავი მალამოდ მოეცხოს ჩემს იარებს. სხვისი ჭირ-ვარამი ყოველთვის მავიწყებს პირად მწუხარებას. ღმერთთან სწორი სჯობს — საძაგელი ხმაცა გაქვს, ჩემი არ იყოს, და სმენის ტკივილი შემიმსუბუქებს მხედველობის ტკივილს, სთქვი! მაშინ თვალთა შესახებ ჩაკლებს ვფიქრობ,—შეევედრა ბუ.

კარგი! გეტყვით. ისმინეთ. ამ დილას ჩვეულებაზე უფრო ადრე ავდექი — დაიწყო ძერამ. წუხელიცუდათ ვივახშმე და შიმშილმა მალე მიწია, როგორც კი გადავლი წყალ-გაღმა, ახლად მკვდარი ცხვარი ვნახე. მივუჯექი და ძალზე მივაძეხი. შორს რად წავიდოდი, იქვე რცხილაზე ავედი (რა დასამალავია?—ძლივს ავჩოჩდი. ისე ვიყავი გამაძღარი) და ჩავთვლიმე. პატარა ჩიტებმა, მგონი, შემატყვეს, რომ მათთვის არ მცალოდა: სრულიად მოურიდებლად თვით ნისკარტის წინ დაფრინავდნენ. მიმეძინა. უცრად ისეთი ჰყივილ-ყრიამული მომესმა, ვიფიქრე ათასი მონადირე შემოსევია ამ ადგილს, ცოცხალს აღარაფერს სტოვებენ, განკითხვის დღე დაგვაყენეს მეთქი. შეშინებულმა გამოვიხედე—თვალსაჩინო არაფერია: დიდი კოპიტის ძირში თეთრად გამოწყობილი ბავშვი იწვა და შორი ახლოს კი კრავი ბღაოდა. გამიკვირდა ამითი როგორ შეეშინდა ჩვენ ჩიტებს — მეთქი. ნუ იტყვი ამ პატარა ჩიტებს, ჩემი თვალის ოდენა ძლივს რომ არიან, ჩემზე უკეთესი თვალი ჰქონიათ: ავიხედე ზევით — და რას დაინახავ უკეთესს! — თვითონ მეფეთა-მეფე, ჩემი ნათესავი, დაღონებული არწივი—ცის კამარაში უძრავ წერტილათ მოსჩანს! შემამჩნია და გამოექანა ჩემკენ. წამოვდექი. საუკეთესო ადგილი დაუთმე...

აბა ზრდილობას ვინ გასწავლიდა? დაუამდა თრითინამ. ეს ვინ არის, ეს ბავშვიო? დამეკითხა არწივი.

არ ვიცი—მეთქი მოვახსენე.

შეგირცხვა თავი! ვერ გაიგეო! თქვენ არ გებრძანებიათ და არაფრათ მედარდება, რამდენი ბ... შვი დატანტალობს ქვეყნის ზე... ზედა მეთქი.

რამდენი ბავშვი! ცოტა არ ი... შემომიტია არწივმა. ვერ ამჩ... რომ ასეთს ბავშვს თავის სიც... ხლეში, შეიძლება, ერთხელ შ... დე? შეხედე რა ძრიელი, ხუ... შავი თმა აქვს. ორი ყორნის ფ... წარბებაშ გადასდებია თვალებს; როვან ლოყებს ტყესავით ე... წამწამი და ზევითა ქვევითაში ... ებურდება, რომ უძნელდება ... ლების ახელა. თეთრ, ყირმიზის ... რის სახეზე, დაღუნულ ცხვ... ქვეშ ყაყაჩო დასწებებია; ... დე თეთრს პეპელას, ნიდა... დაკრძნობილ ხელზე უზის: მთ... ეს ხელ-მკლავი გედის ყელივით ... რი ძირს მსხვილი, ზევით წვრ... არ არის? პატარა ფეხები ს... ძვალიდან გამოჭრილი გვრიტებ...

ვუყურებდი ამ სანახაობას ჟრუანტელი მივლიდა ტანში, ვენ იცით, რომ ადვილად შეიძლება ჩემი მოხიბვლა; მ... არწივის სიტყვები გულის ს... მამდი მწვდებოდა; ეხლა ბავ... შვენებამ თბილი გრძნობა მიღვიძა—სიყვარულს უძახიან ... გრძნობას ადამიანები, ჩვენ კი მზრდელობას ვეტყვით.

ასე უცქეროდით ერთ ხანს შვს—მე აღტაცებული, არწივ... დამშვიდებული, თითქო ყოველ ... ითვლის, სუნთქვას ბავშვისას ... სო. მერმე არწივმა კრავის ... ლიერება ინება. საბრალო რა... წეო და რა უმანკო ქმნილებ... ბრძანა. სილამაზეც არ აკლიათ. ხედე, შეხე... როგორ ხტუნავს ხარებული!.. საწყალმა არც კი ი...

*) მუდუ, ფუღუ იგივე თხუნელა არის. ჩემის აზრით პირველი სახელი უფრო კეთილხმოვანია და უფრო აზახიათებს მუდამ ჩუმს, მიწაში მძრომ, უწყინარ ცხოველს.

გორ კანკალებდნენ, როგორ ცახცახებდნენ!.. როგორის მიწიწებით შეთხოვდნენ ძმობა-ამხანაგობასა, იმ ტეტიას, რომელსაც წინად მხოლოდ მუშტითა და მათრახით, ლანძღვითა და გინებით ელაპარაკებოდნენ.

ამ დღიდან მთელმა სოფელმაც თავისუფლად ამოისუნთქა. მცხოვრებნი მიწური ქოხმახებიდან გამოძვრნენ და ლიახვის რიყიდან მიტანილი მასალით ლამაზი ერთ ორ სართულიანი სახლები გადასჭიმეს. მას დროს აქეთ სამუდამოდ გაჰქრა აგრეთვე ბაჟი წყალსა და ჰაერზე.

—

ჩვენი გლეხკაცისა არ იყვეს,—დაილოცოს ღვთის სამართალი! მრავალ ბოროტებასთან ბევრი სიკეთეც გაუჩენია ქვეყნიერებაზე! ბელტი-ყლაპია კუდა-აზნაურებთან ერთად მერეთში ცხოვრობს ისაია ფურცელაძეც ღვთისნიერი ადამიანი, კაცთა სიყვარულისა და სიბრალულის გრძნობით აღფრთოვანებული. ამ ჟამად იგი სამოცი წლის ბერიკაცია, მაგრამ სულიერი სიცოცხლით, გრძნობით, გატაცებით ბევრ ყმაწვილ კაცზე უფრო ყმაწვილია. ან კი რა დააბერებს იმისთანა ადამიანს, რომლის გულშიაც უკვდავ გრძნობათა ცეცხლი ანთია? დაილოცოს კიდევ ღვთის სამართალი!.. მერეთში კუდა-აზნაურობის წინაშე უკვე სამარეა გათხრილი, ხოლო მოხუცი ისაია სამარადისო სიცოცხლის გზას დასდგომია და ბრწყინვალე მომავლისაკენ სასოებით გაიცქირება. პირველნი უმემკვიდრეოდ იხოცებიან, მეორეს მრავალი სულიერი შვილები ყოვლის მხრიდამ გარს ეხვევიან და, მისი მაგალითით გამხნევებულნი, საქვეყნო მოღვაწეობისათვის ემზადებიან. სწორედ ასეთ მოსამზადებელ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს ის წარმოდგენა —ლიტერატურული სალამოები. რომელთაც მერეთელი მოსწავლე ახალგაზდობა მართავს ხოლმე აქ ამ უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში. ერთი ამგვარი წარმოდგენა გაიმართა მოხსენებულ სოფელში ამ თვის 11 სა. შუა სოფელში. სუფთად დაკრიალებულ კალოზე დაედგათ მოხდენილი ლამაზი სცენა. მის წინ მოგროვილიყო მთელი მერეთის მცხოვრებელნი—ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი. მოკრიალებულ ლაჟვარდი ციდამ სავსე მთვარე მხიარულად დასცქეროდა ამ არემარეს და ვენახ-ბაღებიდან წამოსული წმინდა, გრილი ნიავი საზოგადოების ჟრიამულს თავის ნაზსა და საიდუმლო შრიალს უერთებდა. აიხადა ფარდა და სმენათ გადაქცეულ მაყურებელთა წინაშე ნელნელა გადაიშალა ძველი ბატონყმური უსამართლოებანი. თამაშობდნენ განსვენებულ ალ. ყაზბეგის „არსენას". ყველას მოეხსენება, რომ უბედური მაღალ ნიჭიერი ბელეტრისტი უხეირო დრამატურგი ბძანდებოდა. „არსენა" მრავალის ნაკლულევანებით არის სავსე, მაგრამ ახალგაზდა სცენის მოყვარულთა ერთგულმა თამაშობამ და თვით პიესის სახელმა მაინც თავისი გაიტანეს. ცხადათა სჩანდა, რომ აქ შეგროვილ გულუბრყვილო საზოგადოებას მოსწონდა წარმოდგენა. არსენას შემდეგ ითამაშეს რაღაც უშინაარსო ვოდევილი. კარგს იზამენ ახალგაზდა სცენის მოყვარულნი, რომ ამისთანა გოგო-ბიჭური ლაზღანდარობა სრულიად არ გააჭაჭანონ თავიანთ ნორჩ სცენაზე. გლეხკაცობა დღევანდლამდე მამაპაპური ზნე-ჩვეულებით სცხოვრობს. მორცხვობა, სირცხვილი ერთი უმთავრესი დედაბოძთაგანია ამ ზნე-ჩვეულებისა. დაუფიქრებლივ, მარტო სიცილის გულისათვის ნუ შევარყევთ ამ დედა-ბოძსა. რატომ! უმანკო გულიანი სიცილ-ხარხარიც მეტად კარგია: ცოტას ხნობით მაინც კაცს დარდი ავიწყდება და გულს სევდა-ვარამის წყეული ჟანგი შორდება. ასეთებია, მაგ. „ბიძასთან გამოხუმრება" დატრიალდა ჯარა, „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ", ძალით ექიმი, და სხვანი. ქალაქელების გაქსუებული გემოვნებით სოფლად ხელმძღვანელობა დიდი შეცდომა იქნება. ამათ ბევრი რამ მოსწონთ ისეთი, რომლის ერთი გახსენებაც კი სოფელს ჭირის ოფლს დაასხამს. წმინდა, უმანკო, სასარგებლო მამაპაპური ზნე-ჩვეულებანი უნდა მტკიცედ დავიცვათ და ამ ეროვნულ საძირკველზე აღვაშენოთ ტაძარი მშვენიერებისა, ბრწყინვალე მომავლისა. დასასრულ გულითად სალამს უძღვნი ახალგაზდა სცენის მოღვაწეთ: სოლო, დოდო, ბაბე, არჩილ ფურცელაძეებს, და-ძმა უნაფქოშვილებს, მ. მახარაშვილისას და სხვათა.

**პროვინციელი.**

## ჩემი შენიშვნები

(წერილი ქუთაისიდან)

ამ მოკლე დროში გავიარე ქუთ. წმ. გიორგის (არქიელის მთაზედ), იქ რამდენიმე ნაცნობი ვნახე და სხვათა შორის, ქართულ ლიტერატურაზედ ლაპარაკი დავიწყეთ, ერთმა ჩვენგანმა, მამია გურიელზედაც ჩამოაგდო ბაასი. მე ძლიერ მაინტერესებდა მამიას საფლავის ნახვა. გაგებული მქონდა, რომ ის წმ. გიორგის საყდრის ეზოში ემარხა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ არ ვიცოდი რომელ მხარეს და რა ადგილს. გამოვიკითხე, არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, ჩემდა საბედნიერით წავაწყდი დრამატ. დასის მსახიობს გრ. ჩარკვიანს და ვკითხე, იმან მიჩვენა მამიას საფლავი, რომელმაც ძლიერ გამაკვირვა: ის კიდეზედ დაუმარხავთ და ნიაღვრის საფლავი ჩამოუნგრევია და ზევითურა პირი მიწასთან გაუსწორებია ასე რომ ვერც შეამჩნევთ იქ მარხია ვინმე თუ არა. ამას გარდა ერთმა ნაცნობთაგანმა შემდეგი ამბავი მიამბო: მამია რომ გარდაცვლილა, ხალხში ფული შეუგროვებიათ მის დასაკრძალავად, უნდა დაემარხათ სამრევლოში, რაღაც მიზეზების გამო ეგ ვერ მოუხერხებიათ ჩქარა და ამიტომ იქ სადაც ახლა არის. დროებით დაუსაფლავებიათ. დიახ, დროებით დაუსაფლავებიათ, მაგრამ საუბედუროდ მამიასთვის ის ადგილი სამუდამო ბინად გარდაიქცა. რისთვის?! იმისთვის რომ, აგერ თვრამეტი წელი გადის, რაც მამია გურიელი გარდაიცვალა და არავინ ხმას არ იღებს. საფლავი კიდეც დაიკარგა, ისე როგორც ბევრი სხვა ქართველ მოღვაწეებისა, თითო-ოროლამ თუ იცის ისიც დიდ ბედნიერებად უნდა ჩავთვალოთ. სწორედ საინტერესოა გავიგოთ, რა იქნა ის ფულები, რომელიც ხალხიდან მოგროვდა, თუმცა ეგ ეჭვს გარეშეა მის ნათესავებს გადაეცემოდათ, მაგრამ მიკვირს, რატომ ყურადღება არ მიაქციეს და თუ სამრევლოში არ დამარხავდნენ, უბრალო ქვა მაინც რად არ დაადევს მის საფლავს, რომ მისი ხსოვნა სულ მაინც არ გამქრალიყო ხალხის ხსოვნაში. მამიას იმდენი პატივისმცემლები ჰყავდა, რომ, თუმცა იმის გარდაცვალების შემდეგ ბევრი ხანი გავიდა, მაგრამ ის არ დაჰვიწყებიათ, ხშირად გამიგონია, ნატრობდენ იმის საფლავის ნახვას და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, თუ სად იყო დაკრძალული. მგონია არ იქნება სასიამოვნო „ჩემი ძლიერ დის" „ადამიანის", „ფიქრის" და სხვა ბევრი ნაწარმოების ავტორის საფლავი უხმოდ დაიკარგოს. იმედია საზოგადოება დიდათ საკუთრებით კი მისი ნათესავ-მეგობრები ყურადღებას მიაქცევდნენ და უბრალო ქვას მაინც დაადებდნენ მის საფლავს, ამით მაინც გააძლიერებდნენ ხალხში მამიას ხსოვნას. თორემ იმას იქ განსვენება მარტო არ ეყოფა:

„სად გრგვინვა ფაზის მარადის მწყრალის
უდუდუნებდეს ხმას საამურსა"...

**ხერ—გერ—მია.**

## მოწერილი ამბები

**დ. ხონი.** მწერლის ილია ლუკას ძე ბახტაძის (ილია ხონელის) პატივსაცემად შემდგარ კომიტეტის მიერ სამშაბათს 20 ივლისს გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო გარდახდილ იქნა პანაშვიდი ილია ხონელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს საკმაო ხალხი დაესწრო. პირველად ილია ხონელის საფლავს მიესალმა ეგ. ქუთათელაძე. მან თავისი მოკლე სიტყვის დასასრულს წაიკითხა დეპეშები: ალ. საყვარელიძისა და იოანე მეუნარგიას მიერ გამოგზავნილი. დეპეშები ბევრ დამსწრეთათვის გაუგებარ რუსულ ენაზე იქმნა წაკითხული. არც ერთმა არ შეიწუხა თავი დეპეშების ქართულად გადმოთარგმნით შემდეგ სიტყვა სთქვა ექიმმა ბ. კიკალიშვილმა. მისი სიტყვა საკმაო გრძელი იყო. ყოველ მხრივ შეეხო ილიას ცხოვრებას და მოღვაწეობას. სიტყვა წარმოსთქვა ილია იესეს ძე ბახტაძემაც. ამ ორ უკანასკნელ ორატორის სიტყვებით სჩანდა, რომ ილია ხონელს თუ ბედნიერება ჰქონდა ვისთანმე ყოველთვის იგი იყო მართალი, მას ეჭირა სამართლიანი პოზიცია ხოლო მოწინააღმდეგენი კი თქვენს აზრებით იყვნენ გამსჭვალულნი და სხვ, ილია ხონელი რომ ერთ რედაქციაში დიდხანს არ მუშაობდა, ეს რედაქციების ბრალი იყო ყოველთვის და არა მწერალ ილია ხონელისა. ილია რედაქციაში გამეფებულ სიდუხჭირეს ვერ ითვისებდა და რედაქციებისაგან გარბოდა. უფრო უმჯობესი იყო დაეხასიათებინათ და აღენიშნათ ის. თუ რა ახასიათებს ილია ბახტაძის მოღვაწეობას. ამას ყველა სიამოვნებით მოისმენდა დასასრულ სიტყვა სთქვა ლ. ტაბუკაშვილმა. სიტყვა ვრცელი და შინაარსიანი იყო. სიტყვის დასასრულ მან შოლტი გადაჰკრა ჩვენს გადაგვარებულთ რომლებსაც რუსული ლაპარაკი და წერა ეხერხებათ და ქართული კი არა. მოუწოდა აგრეთვე საზოგადოებას, ვითავოთ ხონელებმა, გამოვიდოთ ორიოდე გროში და მწერლის ძეგლი დაუდგათო. კარგს იზამს მართლაც ის კომიტეტი, რომელმაც დღეს პანაშვიდი გადაიხადა თავის თავზე მიიღებდეს ამ საქმის ინიციატივას. პანაშვიდის გათავების შემდეგ კიდევ მოვიდა დეპეშები შემდეგ პირებიდან: ალექსანდრე მდივნისა, სიმონ მდივანისა ალ. გამრეკელიშვილისა, ის. ლორთქიფანიძის, დ. ლორთქიფანიძისაგან, და სხვ.. დეპეშების რიცხვი თხუთმეტამდეა.

**იბერი.**

—

**სოფ. მარტყოფი.** (გარე კახეთის) რომ იტყვიან: საწყალ კაცს, ქვა აღმართში დაეწევაო" სწორედ აქაურებზეა ნათქვამი. ჯერ იყო და თიბათვის ქარიშხალმა და სეტყვამ წლის მოსავალი გაანადგურა და მერე იყო და იმ ნახევარსაც მთელ ზაფხულში ერთხელ არ არგუნა ბუნებამ ხეირიანი წვიმა, რაც აქ ძალიან საგრძნობლად უწყლობისა გამო. კარგი იქნებოდა რომ ყველაფერი ამით მანც განისაზღვრულიყო, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ მადალ დობეს ყველა ერიდება, თვით სიკვდილიც-კი. ამ თვის დასაწყისში (6 ივლისს) რამდენიმე საათის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ერთი გლეხი, რამაც ეჭვი დაბადა ხალხში, ხოლერით ხომ არ მოკვდაო. ეჭვი გამართლდა. დღიდან გაჩენისა დღემდე ხოლერით 13, ავად იყო 24 კაცი, ამათგან 13 გარდაიცვალა დანარჩენი რჩებიან. სენის გავრცელებას, ეჭვს გარეშეა ხელი შეუწყო უსუფთაობამ და შიშმა. ხალხი ისე შეშინდა, რომ სახლებიდან იხიზნებოდნენ და მიცვალებულს ხომ სულ ახლოს აღარ ეკარებოდნენ. ხოლერის შიშმა აქაურებს სარწმუნოებაც მოაგონა. წინათ თუ ქუდის გამოსატანათ ეზარებოდათ ხოლმე ეკლესიაში შესვლა, ეხლა, ამ გახურებულ მუშაობის დროს, საზიარებლადაც დადიოდნენ 2—3 დღე, იმ განზრახვით რომ უზიარებელნი არ გამოსალმებოდნენ წუთი სოფელს. ხოლერასთან საბრძოლველად თუმცა შესაფერი ზომებია მიღებული, მაგრამ მაინ რაც უნდა იყოს ერთი ფერშალი ამოდენა სოფელს ვერას გასწვდება, ამიტომ მეტი არ იქნება თუ რომ ამ მდგომარეობას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

არა ნაკლებ სიფრთხილეს და ზომებს საჭიროებს ნორიო, ახალ სოფელი და ახლო მდებარე სოფლები. სადაც მოსახლეობა მჭიდროა, ქალაქური, რაც ხოლერის მძვინვარებას უფრო აადვილებს.

სხვა ფრივ სოფელ კულტურულად წინსვლისა არა ეტყობა რა, [illegible] რომ სამკითხველოს რადგან [illegible] ცვლება დაეტყო და ახალი მამასახლისი აირჩიეს, რომლისაგან ბევრს იმედოვნობენ აქაურები, მაგრამ ალახმან უწყის რა იქნება, ვინაიდან ნათქვამიცაა: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის..." თუმცა კი აღსანიშნავია ისიც, რომ მას ცოდნა და უნარი შესწევს სამოქმედოთ თუ რომ მან მიწაში არ ჩაფლა უთველივე ეს და წინანდელ მამასახლისების კვალს არ გაჰყვა.

დასასრულ არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ აღვნიშნო უმოქმედება ადგილობრივი ინტელიგენციისა, თუ იგი არსებობს ამ სოფელში. ზაფხულობით ადგილობრივ ინტელიგენციის (?) რაოდენობას ამრავლებს ხოლმე ქალაქიდან საგარაკოთ მოსული ამ გვარივე წრის ხალხი. მათ შეერთებული ძალით ბევრი რამე შეეძლოთ გაეკეთებინათ სოფლის სასიკეთოდ, როგორც მაგალითად, სამკითხველოს უფრო კაი პირობებში ჩაეყენებინათ, დაეარსებინათ მშრომელთაკან კოოპერატიულ ნიადაგზე რამე ამხანაგობა, სანიტარებად ჰყოლოდნენ სოფელს ამისთანა უბედურების დროს და სხვა და სხვა, მაგრამ განა ვისთვისმე საჭიროა რომ უმოქმედება საზოგადო ასპარეზზე ეხლა მოდაა... და აი სწორეთ ამ მოდის მიმდევრები აქ ბლომად მოიძებნებიან, რომელნიც მთელ თავიანთ თავისუფალ დროს ანდომებენ „ვიზიტობას" და „თავგზაბან-კატობანას" თამაშობას...

**უკმაყოფილო.**

—

**დ. ყვირილა.** წარსულ მაისის თვეში მოხდა წლიური საზოგადო კრება ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ ადგილობრივ განყოფილებისა მღ. კ. ანთაძის თავმჯდომარეობით, რომლის წინადადებით კრების გახსნისთანავე საზოგადოებამ პატივი სცა გარდაცვალებულთა გრ. ვოლსკისა და მ. დემურიას ხსოვნას. შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1909 წლის შემოსავალ გასავალი და 1910 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. ამ განყოფილების მოქმედება დღიდან დაარსებისა (1909 წ.) დღემდე გამოიხატა შემდეგში: დაარსდა დაბაში წიგნთ-საცავ-სამკითხველო, საკვირაო სკოლა, უკვე აუღიათ ნება-რთვა გუბერნატორისაგან და 17 ამ თვიდან დ. ხნარში მოქმედებას დაიწყებს წიგნთ-

---

დაბმული რომ არის. შეხე, როგორ ურტყამს ზევით ცხვირს, თითქოს ძუძუს სწოვსო. აი, უვნებელი თვალთმაქცობა. მოდი ერთი გავანთავისუფლებ — გაირბინოს, გალაღდეს!..

ნუ ინებებ—მოვახსენე არწივს —ადამიანების დაბმულია და რაიმე ხიფათში არ გაება. რამე ხრიკი იქნება, შარს მოგდებენ. კრავმა კუნტრუში, სირბილი დაიწყო და ოთხივე ხელფეხით ბაწარში გაეხვია. საწყალი წიქცა. ბღავილი მორთო. შემეცოდა, მაგრამ რას ვიზამდი? არწივი კი წამოვარდა, მივარდა პალოს, რომელზედაც თოკი იყო მიბმული. ვაი, ისეთს მივარდნას! საიდან გაჩნდა არ ვიცი—არწივს კი ვეებერთელა ძარი დაეცა თავზე. მძიმე მოკუხებული ძარი. შევშინდი: საშიში წამი იყო! მშვენიერი წარიც დადგა! არწივმა ჰკრა ნისკარტი და გატეხა წკნელი ძარისა; ჩააფრინდა კლანჭებით და გამოამტვრია გასაძრომი. ამ დროს მოვარდა ბავშვი და დაეხმარა. როგორც იქმნა, არწივი გამოვიდა. მთელი ტანი აბურძგნული ჰქონდა; კლანჭებიდან სისხლი მოჟონავდა; თვალთაგან მოცეცხლსა ჰყრიდა. ძლივსა ჰქშინავდა. გაფრენა უნდოდა, მაგრამ ბავშვს შეხედა და შეჩერდა. ბავშვი თვით მიუახლოვდა არწივს. როგორ გაბედე? მე ხეზე სულგანაბული ვიყავი. გააფთრებული მეფის მოქნეული ფრთა მე არ მომხვდეს-მეთქი. ბავშვმა ხელი გადაუსვა თავზე. „ხომ არაფერი გტკენია? ეხლავ წყალს მოგიტან მოგბანო; ნუ გეშინია, ფრთები არ გაქვს დამტვრეული, მხოლოდ აბურძგულიაო; მე დაგიწყობ რიგ-რიგზეო." ასე რომ თითს ნისკარტზე მისობ არ გეშინია მოგამტვრიოვო?—დაეკითხა არწივი. „რათ დამამტვრევ?.. თუ გშიან მომიცადე ეხლავ სახლიდან მოგიტან ყველსაო". უპასუხა ბავშვმა.

მე ნადირი ფრინველი ვარ; მე ყველს არა ვსჭამ; ჩემი საზრდო უმი ხორცია და თბილი სისხლიო—უბრძანა არწივმა.

„ეგ ეხლა ჩვენებს აღარ ექნებათ!" წყენით წამოიძახა ბავშვმა და ისევ ალერსით გადაუსვა ხელი ზურგზე.

ნუ სწუხდები ჯერ არ მშია და თუ მომშივდა საჭმელს მალე ვიშოვნიო!—და ისეთის, თვალით გადმომხედა, რომ წრეულს—რისთვის ვიტრაბახო?—აღარ გამაცივებს.

ჰკუიანი სიკვდილს ერიდება—ჩაურია ამბავში თრითინამ. „როგორც არა სჯობს გაცლა სჯობს!" კარგია მამაცისაგან"-ო ძველთაგან ნათქვამია.

სახლში სადილი გაქვსო?—დაეკითხა ბავშვი არწივს. არა—უპასუხა არწივმა—გზაზე უნდა ვინადიროვო; მაგრამ სახლში არ წავიდე იქვე შევექცევი.

განა სახლი არა გაქვს? მაშ ხომ მოვკვდები სიცივით.

სახლი როგორ არა მაქვს.

სადაა შენი სახლი?—ტიტინებდა ბავშვი და ეს ტიტინით არწივს სფეროთა სიმღერათ ეჩვენებოდა.

ფიტალო კლდეზე უზარმაზარი მუხა დგას. ამომავალი მზე პირველად მას ესვრის მეგობრულ ისრებს; ჩამომავალი მზე უკანასკნელ ამბორს მას უგზავნის. მერმე მთვარე შემოევლება თავზე და ასე მუდამ შარავანდედით მოსილი შეჰყურებს ლაჟვარდ ცას ფოლორო მუხის მწვანე ფოთლები. ხან ზმუის, ხან ღმუის მუხა; თუ მხდალს შიშის ზარსა სცემს, ვაჟკაც მეზღვაურთ გზის მაჩვენებელ წერტილათ აქვთ აღებული იგივე მუხა. საოცნებო სიმაღლიდან ერთი შტო გადაჰყურებს თვალუწვდენელ ველს, რომელზედაც მიჰქრის მატარებელი, და დარბის ცხვრის ფარა და ცხენის ჯოგი; წინ ხედავს მუდამ ბჭყვიალა თოვლით დაფარულ მთას და მაზე მხტომ ქურციკს, ჯიხვს, შველს. მეორე შტო კი ზღვის ტორტმანით მოხიბლული ხან თეთრ იალქნებს დააცქერდება, ხან პატარა შავ ნავებს, ხან მტრის ზარის დამცემ ხომალდთა გროვას. იქ არის ჩემი სასახლე.

თან წამიყვანე! მაჩვენე.—შეევედრა ბავშვი. არ გეშინია? ამ სიშორეზე... იქ ადამიანები არ არიან. იქ ვარ მხოლოდ მე მარტო.—არწივი ებრძოდა თავის თავს: არ იცოდა ბავშვის სურვილი დაეკმაყოფილებინა, თუ სახიფათო გზას აეცდინა ბავშვი; არ იცოდა ბავშვის სიახლოვით დამტკბარიყო, თუ ბავშვის მშვიდი ცხოვრებისთვის შორიდან ეცქირა.

„არა, არ მეშინია! შენ კარგი ხარ".

მაშ შემოჯექ ზურგზე, როგორც ვაჟები ჯდებიან ცხენზე და ხელი მაგრათ მომხვიე ყელზე. აი ასე! ეხლა არ შეგეშინდეს, მე ნელ-ნელა ზევით ავფრინდები. და არწივმა მძლავრად გაიქნია ფრთები. ასე დაბლა თავის დღეში არ უფრენია არწივს. უნდოდა ბავშვი ნელ-ნელა შეეჩვია სიმაღლისათვის. მე უკან გავყევი პატივსაცემლად. მალე დავილალე. არწივს ღვთის გასდიოდა, მაგრამ თავის თანასწორ ფრენას არც უკლებდა და არც უმატებდა, რომ ბავშვი არ შეეშინებინა. სალი კლდეების სიმაღლის გათელვა, ვეღარ გავბედე; ტანს ვერ ვიტან—მეთქი, ვიფიქრე. შემოვევლე თავს ბავშვით დატვირთულ მეფეს—არწივს, ნიშნად გამოთხოვებისა და შევჩერდი.

საჭმელი დაუმზადე ბავშსაო, მიბძანა, ძლივს ლაპარაკობდა. დაღალვისაგან გული ეხუთებოდა. მეც იქვე მძინარე კურდღლის ბოცორს წავატანე ხილი, ერთი-ორი ჩავკარი თვალებში ნისკარტი, რომ არ გამქცეოდა, გავიტანე ხეზე და ვიცდიდი. დიდი ხანი არ გასულა. მოვარდა შურდულივით არწივი, მწვდა, წამართვა საჭმელი და ისევ გაქანდა. კიდევ კარგი, რომ ჯერ მოფრენის დროს ვკითხე ბავშვის ამბავი.

კარგად არის. ვაი რომ გადასავარდნს ადგილებს არ ერიდება ყველაფერი მოსწონს და უნდა ხელით გაშინჯოს, თვალით დაინახოს, დაყნოსოს. ეხლა მივმალე ღრუში. შევეხვეწე არ გამოხვიდე-მეთქი; ვაი თუ ძირს მოზარდმა ნარგიზის ბუჩქებმა შეაცდინოს, გარეთ გამოიტყუოს. ასე მეუბნებოდა და თან მიფრინავდა. რომ მისი პასუხი გამეგონა უკანასკნელი ძალღონეს ვიკრეფდი.

არწივი თანდათან მშორდებოდა. უეცრად ვაი-ო დაიძახა არწივმა და ზევით ასვლის მაგიერ ქვევით დაეშვა. მივხვდი რაშიც იყო საქმე მოვყევი. ვიფიქრე მოვკვდები, მაგრამ არ დავტოვებ-მეთქი: ქვევითკენ ფრენა ჩემთვის უფრო ადვილიც იყო. არწივი თვალებიდან დამეკარგა, მხოლოდ ნაპობ ჰაერის ხშუილით ვიგნებდი გზას. მივედი და საცოდაობა ვნახე მიცვალებულებში გამოქანდაკებული.

თეთრი ბავშვი გულაღმა იწვა. ხელები გადეშალა ჯვარცმულივით. ერთი ბუჩქი ხუჭუჭი თმისა გადმოვარდნოდა შუბლზე და სიმწრის ოფლის რამოდენიმე წვეთთა შორის ბრილიანტებით შემოჭედილ შავ მარჯანივით ჩამჯდარიყო. საფეთქელზე ოდნავ მოსჩანდა ნაზი ძარღვების მუქი სილურჯე. სიკვდილს ბეჭედი ჯერ არ დაესვა. პირიქით, თითქოს ბავშვი არწივს ეთამაშებაო: მარჯვენა მხარზე არწივს თავი ედვა და გულმკერდს გადაფარებოდა ფრთოსანთა მეფის ძლიერი შავი მკლავი. მხოლოდ არწივის მკერდიდან სისხლი ნიაღვარივით ჩქეფდა და ნარგიზს წითლად ღებავდა. ძერა შეჩერდა, ვეღარ გააგრძელა ამბავი. სული აღმოხდა.

ვერ გავბედე მათი შერყევა. ვერც ფიჩხი მივყარე. ლაჟვარდმა ცამ უყუროს მათ, მზემ თავისი სხივები მათში დამარხოს!—დაამთავრა ამბავი ძერამ.

ჰე, ადამიანები მივლენ და ცრემლის ტბას გააჩენენ იქ. როცა დროს ატარებენ ისეთი მოღუშული სახე აქვთ, ისე მწყრალათ გამოიყურებიან, რომ თვით მზეს დაუკარგავენ სიცოცხლეს და ეკალს გააჩხობენ; ხოლო თუ ვინმე მოკვდა, მაშინ — გიშველოს ღმერთმა! — თვით უდაბნოში ცრემლის მდინარე ადინონ შენიშნა ძლოკვამ. თვით სიკვდილს ბავშვისას არწივს დააბრალებენ! დაცინვით, გესლით და მწუხარებით წარმოსთქვა გველმა, თითქოს სხვისი მაგალითით, თავს იმართლებსო. არწივებისთვის არის შექმნილი ქვეყანაო!—სასოწარკვეთილებით ჩაიყიყინა ბაყაყმა.

იმ ბავშვისთვის ქვეყნის ნახვას სურვილმა რომ იმსხვერპლა—ამოიოხრა მუხამ.

ყველა გაჩუმდა. ისევ ფიქრს მიეცნენ. გამოუთქმელი მწუხარება უფრო და უფრო სქელი ნისლით აწვებოდა იქაურობას!

განა მზის სხივებით პატარა კრავი იბზიალებდა დაკრეკნილ ბალანს. განა მისი ერთი წუთის ხტომა. სირბილი მთელ ჩვენ სიცოცხლეთ არ ღირს? წამოიძახა ცხრა-ფეხამ, თითქოს ვისმე ეკითხებაო.

ეჰ, სხვისი ამბავი არ ვიცი, ჩვენთვის რომ ქვეყანად არაფერია—ეს კი ვიცი. ჩვენ ვართ მგლოვარენი გულითა; ნუგეშისაც ცემა კი არსაიდან ისმის. მთელი სიცოცხლე წინ რომ გსურს წასვლა, უკან-უკან იხევი; გსურს მოუალერსო ვისმე და ეს ხობოკურა, ეს კაჟივით მაგარი, განუშორებელი ტანთსაცმელი გიშლის: ჩადგება შენსა და საყვარელ არსების შორის. ჩემის თათების მოსმა სიამოვნების მაგიერ ტკივილსა და ზიზღს აგრძნობინებს ყველასო.—გაიფიქრა კიბომ და ხმის ამოღებაც კი შეეზარა.

ადამიანი, ადამიანი არის ძლიერი და ნეტარი! ისევ ჩაერია ბაასში ძერა.

ფოთლებმა იგრძნეს მზის მოახლოვება და აიშალნენ. ძერას მოატათი მიეძინა. ერთად შეყრილნი მობაასენი წავიდ-წამოვიდნენ. მუდამ უკანვე, ქვევით გასწია.

არწივები!! უკანასკნელად ერთი კიდევ დაიკივლა ბუმ. და ამ სასოწარმიხდილ ყვირილში იყო გამოთქმული მთელი სინანული ფუჭ, უღიმღამო სიცოცხლის გამო; მაში იყო ჩაქსოვილი ნატვრა სინათლისა, სიტკბოების და სიხარულისა.

**ნ. ლორთქიფანიძე.**

სატკ-სამკითხველო, აგრეთვე აღუძრავთ შუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან ასეთივე სამკითხველოს გახსნის შესახებ ს. დორეშაში.

მკითხველებს გაგებული ექნებათ თუ რა გამწვავებული ხასიათი მიიღო ყვირილის კერძო საქალებო პროგიმნაზიის მასწავლებლების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებამ. ქ. ანნა ჩხეიძის წინააღმდეგ ამხედრდნენ მასწავლებლები: დ. ჩ—ლაძისა, გ—გაძისა, წ—ლუკაძისა და სხვ. საქმე იქამდის მივიდა, რომ სკოლა გაიყო ორად, ერთში დარჩა ჩ—ძისა და დანარჩენნი მეორეში. მასწავლებლების ნახევარი რიცხვი ერთში დარჩა და მეორე-ნახევარი მეორეში გადავიდა. ვინ მოსთვლის, რა ბრალდებებს არ ახვევდნენ ერთიმეორეს ეს მოპირდაპირენი. და ბოლოს სამართალში გამოიწვიეს მასწავლებლებმა ჩხეიძისა. მოსამართლეებად არჩეულ იქმნა: გ. გიორგაძე, პ. საყვარელიძე, ქავთარაძე, ელიავა და ურატაძე. ამ მსჯავრმა აქაურ საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. სასრებულოს დარბაზი გაივსო დიდითა და პატარით, ქალი და კაცით. ყველა დიდის გულმოდგინეობით მოელოდა, რით მოეღებოდა ბოლო ამ დაუსრულებელს ამბავს. მხარეები ერთიმეორის დანაშაულობას დიდის რიხით ამტკიცებდნენ: „ნიანგის ცრემლები" დაიღვარა, „ფილიპპიკა" გამოითქვა, თითო ორ-ორი საათი მქუხარე სიტყვები წარმოითქვა. ასეთი დავი-დარაბი იყო თითქმის ერთ კვირამდე, მაგრამ, ჭოი საკვირველებავ, განაჩენიც გამოიტანეს მოსამართლეებმა ისეთი, რომ ამდენი საზოგადოება გაშტერებული დარჩა: „რადგან მოსამართლეები ერთიმეორეში ვერ შევთანხმდით კითხვების გადაწყვეტაში, ამისათვის თავს ვანებებთ ჩვენს მოვალეობასო". ასეთი რეზოლიუცია გამოიტანეს მსაჯულებმა. ამისთანა ორჭოფობა წარმოუდგენელია.

ყანები აქეთკენ ძლიერ კარგია თუ ბოლოს ქარ-სიცხემ არ გაახმუჭა. კახნია გაიჭრა ყანები და ნაპურალში სიმინდი დაითესა. ვენახს ბევრგან ჭრაქმა გაჰკრა და დაწვა, თუმცა ბევრი ესხა. მოსავალს დიდის იმედით შეჰყურებს ყველა თუ არ გაუცრუვდათ.

ამ დღეებში სადგურზე ფოსტის მატარებლის მოსვლის დროს მოხდა სროლა, რომლის დროს ძლიერ დაიჭრა ჟანდარმი. ორი საეჭვო პირად მიჩნეული პირები მატარებლის ახლო იდგნენ. ყარაულებმა შენიშნეს ისინი და ჟანდარმს დაუძახეს; როდესაც ჟანდარმმა მათი დაჭერა მოინდომა, სროლით უპასუხეს და ჟანდარმმაც დაუწყო სროლა, თუმცა უმნიშვნელოდ. გაიქცნენ ყაჩაღები. დაიჭირეს ეჭვით ორი კაცი.

საქალაქო სკოლის შენობის შესახებ გუბერნიის არქიტექტორი იყო ამ კვირა, გეგმა უნდა შეედგინა. ძლიერ კუს ნაბიჯით მიდის ამ შენობის საქმე, აგერ რვა წელიწადია აღარაფერი ეშველა იმის დამთავრებას. ამის მიზეზს ჯერ ვერავინ გებულობს. **ქ. გ—ილი.**

—

**ქარვასლა.** (ყაზახის მაზ.) კვირა საღამოს 18 ივლისს, აქ დასდგეს ორი პიესა სომხურად. „პეპო" და „ვექილთან" მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი და ტფილისიდან საგარაკოთ მოსული ახალგაზდობა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, დარბაზი სავსე იყო ხალხით, წარმოდგენას დაესწრო ცნობილი ვექილი ს.ს. არუთინოვი (ამის სოფელი აღდანი ორი ვერსის მანძილზეა) ს. ქარვასლა წარმოადგენს ერთ საგარაკო ადგილს თუმცა ხალხი საგარაკოთ აქ ძალიან ნაკლებად მოდის. მიზეზი იმას უნდა მივაწეროთ რომ აქ არ არის არც როტონდა არც სასეირნო ბაღი. წელს აშენებენ სახალხო სახლს სადაც უნდა მოეწყოს სცენა და ბიბლიოტეკა, როტონდოსთვის უკვე შეჰკრიბეს ფული, რომელიც ორ დღეში 400 მანეთი მოგროვდა, აზრადა აქვთ ეხლავე დაიწყონ როტონდა, ისე რომ გაზაფხულზე მზად იყვეს, რასაკვირველია ამისთანა პირობებში სოფელი წინ მიდის. წელს დილიჟანში იმდენი ხალხი მიაწყდა რომ ტევა აღარ არის, როგორც ქათმები ქანდარაზე ისე ხალხია სარაიებში მოთავსებული. ბევრნი უადგილობის გამო უკან ბრუნდებიან. დილიჟანში არის როტონდო, სასეირნო ტყე, სახალხო სახლი სადაც კვირაში ორჯელ-სამჯერ იმართება წარმოდგენები სომხურ და რუსულ ენაზე როტონდოში ყოველ დღე უკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

ხოლერამ ზემო აღდანშიაც (ორი ვერსია ქარვასლიდან) იჩინა თავი, სამი კაცი უკვე გამოასალმა წუთი სოფელს, ზომები უკვე მიღებულია ხოლერის ასალაგმავად. ქარვასლაში ორი მოკვდა უცბად, ვითომ მზემ დაჰკრაო მინდორში. მთელ ყაზახის მაზრაში წელს მშვენიერი მოსავალია, მკას უკვე ათავებენ, შემდეგ კალოებს დაიწყებენ. ვენახებიც კარგად არიან კვლავინდებურზე. **ვასო ქავთარაძე.**

—

**ს. დაბლა-საქარა** (შორაპნის მაზ.). ვინც ოდნავ თავის ინდივიდუალურ „მეს" გასცილებია და სამშობლოსადმი საკეთილ-დღეო კითხვებს მოუცავს, იმის თვალ-წინ გადაიშლება გულშემზარავი, სურათი, როდესაც ის არსი ამ სოფლის სვე-ბედს ეცნობა. აპატია კულტურული დაწესებულებისადმი, ქიშპობა, კერძო ინტერესების გამეფება, დიდ უნუგეშობაში აგდებს აქაურობას. ბიბლიოთეკა და სხვა, რომელიც ხალხის სულიერ ამაღლებას და განვითარებას ხელს უწყობს, ამ სოფლისათვის არსებობს.

ხალხის მოწინავე ნაწილი, ინტელიგენტობა, დიდათ გაურბის ასეთ დაწესებულებისადმი მოღვაწეობას და მის მაგიერად სულ სხვა უშინაარსო და ფუქსავატ „კითხვებში" ჰპოვებენ სულის სიამეს. თუმცა რამდენიმეს თაოსნობით აღიძრა საკითხი ამ სოფელში ბიბლიოთეკის დაარსებისა, მაგრამ ბევრნი მოწინააღმდეგე იყვნენ; ამ ინსტიტუტის გახსნას უადგილობათ და დროის შეუფერებლად სთვლიდნენ; ასე გასინჯეთ, თვით აქაური მასწავლებელიც. მე არ მოვყვები იმის დამტკიცებას თუ რამდენად დროის და მიზნის შესაფერია ამ სოფლისათვის უფასო სამკითხველოს დაარსება, ვიტყვი მხოლოდ, რომ ცდა გამოცდილებამ ნათელჰყო ჩვენი სოფლის ინტელიგენციის გულგრილობა ამგვარ საქმესადმი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც თუ რა დაბეჩავებულ მდგომარეობას განიცდიან აქაურები ეკონომიურის მხრით. სხვა და სხვა ბეგარების გადახდა რამაც წელს ძალიან იმატა, მღვდლის გასახადი და სხვა აუტანელ მდგომარეობაში აყენებს მცხოვრებთ. **დ. საქარელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**გურჯაანი.** ისეთი დიდებული საღამოების გამართვა, როგორიც იყო 17 ივლისს ს. გურჯაანში, თურმე ჩვეულებრივი მოვლენაა კახეთის სოფლებისათვის და ეს ფაქტი აუცილებლად გვავლებს უყურადღებოდ არ დავტოვოთ 17 ივლისის საღამო და არსებითად შევეხოთ იმის ავ-კარგიანობას.

ხსენებული საღამო როგორც მკითხველსაც ეცოდინება მოეწყო აქაური ადგილობრივ ინტელიგენციის ინიციატივით ამავე სოფლის სამკითხველოს საშუალებათა გასაძლიერებლად. მიზანი—ჩვეულებრივია სოფლად გამართულ საღამოსთვის; საშუალება—მიზნის განსახორციელებლად იქნა არჩეული სეირნობა-არიფანა. წარმოადგინეს—„დედა და შვილი". და გამართეს სხვა გასართობები. საერთოდ შთაბეჭდილება საღამოს პროგრამისა იმ გვარი იყო, თითქოს იგი წარმოადგენდა კრებულს ყველა იმ საღამო-გასართობებისას, დაწყებული წარმოდგენებით და დამთავრებული ცირკით, რომლებიც კი იმართება ჩვენს დროში ქ. ტფილისში. ალბად ინიციატორთ უკეთ იცოდნენ გემოვნება აქაურ საზოგადოებისა და მათ გემოს შეუხამეს თავიანთი საღამოს პროგრამაც.

მოთავენი არ მოსტყუვდნენ და საღამოს დაესწრო არა ერთი რომელიმე სოფლის, არამედ თელავის და სიღნაღისმაზრის ინტელიგენცია— განსაკუთრებით კახელი თავადობა. ამ საღამოს მშვენივრად გაჩირაღდნებული ვეებერთელა ეზო კნ. ჩოლოყაშვილისა ძლივს იტევდა კახეთის თითქმის ყველა მხრიდან მოზღვავებულ ხალხს. საღამომ ერთობ რიგიანად ჩაიარა: თითქმის ყველა დანაპირები შესრულებულ იქნა, მაგრამ დიდად უშლიდა ხელს უწესრიგობა, რომელიც უნდა დანაშაულად ჩაეთვალოს საღამოს მომწყობთ, რაკი ამისთვის არაფერი ზომები არ მიეღოთ. მიუხედავად ამისა დამსწრენი მხიარულად ვახშმის შემდგომ მხოლოდ კარგა მზის ამოსვლისას დაიშალნენ, საკმარისად კმაყოფილნი. მთელი შემოსავალი საღამოსი უდრის 500 მ. და წმინდა—280, რომლითაც გადაწყვეტილია შეიძინონ აქაურ სამკითხველოსთვის სახლი. ადგილობრივ პირობებში ამ ფულით ადვილი შესაძლებელია. სახლის შეძენა.

ერთი სიტყვით ინიციატორთ თითქმის მიაღწიეს თავიანთ მიზანს—ამ ცოტა ხანში გურჯაანის შუა ადგილს მცხოვრებთ ექნებათ სამკითხველო საკუთარის შენობით. უნდა ვაღვიარო, რომ ხშირად გვსმენია ამგვარი სამკითხველოების დაარსება და ამასვე თან მოჰყოლია ცნობა, სამკითხველო დაიკეტაო. მიზეზათ უმეტეს შემთხვევაში ასახელებენ ან პოლიტიკურ ან და მატერიალურ პირობებს და იშვიათათ თუ ვინმე შეეხება უმთავრეს მიზეზს, რომელიც საერთო მიზეზად უნდა ჩაითვალოს. ეს მიზეზი გახლავთ —თვით ხალხის — გლეხობის უყურადღებობა სამკითხველოსადმი. მათში ჯერ ნაკლებადაა გაღვიძებული ინტერესი წიგნის კითხვისადმი. ამიტომ ესენი თითქმის ბიბლიოთეკების ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ და ქველ მოქმედობით კი სამკითხველოს შენახვა, რომელიც მუდმივ დახმარებას თხოულობს, ძნელია. მაშასადამე ვისაც უნდა სამკითხველო მტკიცე ნიადაგზედ დააყენოს, მან უმთავრესი ყურადღება სწორედ ამ მხარეს—ესე იგი ხალხში წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაღვიძებას უნდა მიაქციოს. სამწუხაროდ ეს მხარე სრულიად მივიწყებული აქვთ ჩვენის ხალხის მოჭირნახულეთ და ჰგონიათ თუ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებით გლეხობა ცოდნა-მანანით ჩასთვლის და უკვდავების წყაროსავით დაეწაფებაო. იქაც კი, საცა თითქოს პირველს რიგზედ უნდა ხალხის ეს დაინტერესება იდგეს—იქაც მომეტებულს შემთხვევაში ხალხი დავიწყებულია. ერთ ერთ საშუალებათ ხალხის დაინტერესებისა უნდა ჩაითვალოს წარმოდგენები და სხვა და სხვა გასართობები, და განსაკუთრებით ის საღამოები, რომელთა დანიშნულება ხალხის სარგებლობაა, მაგრამ იქაც ისევე მივიწყება ხალხის უმთავრესი მოთხოვნილების— უმეტეს შემთხვევაში ამგვარ საღამოებზედ შექმნილია იმგვარი პირობები, რომ ხალხს, როგორც ეს შენიშნა გურჯაანის საღამოს ერთმა ინიციატორთაგანმა თავის სიტყვაში, ხშირად ლობიდან უხდება ცქერა. ასეა მომეტებულ წილად ამგვარ საღამოებზედ ყველგან და უფრო განსაკუთრებული ხასიათი ჰქონია კახეთში—გურჯაანი კი ამის მაგალითია. ამ საღამოს, როგორც ვთქვი დაესწრო თითქმის მთელი კახეთის არისტოკრატია, თვით ხალხი კი თითზედ დასათვლელი იყო. იქნება იფიქროს ვინმე, რომ მათ შეეძლოთ დასწრება და არ მოისურვეს, მაგრამ მოსტყუვდება რადგანაც არც ფასის სიდიდე და არც თვით საღამოს ხასიათი არ აძლევდა დასწრების ნებას. ამ საღამოზედ „დედა და შვილის" მეტი თითქმის ყველაფერი რუსული იყო, თვით წარწერები მორთულობებზედ და ფასები ბილეთებზე წარწერილი იყო რუსულად; დამსწრე საზოგადოება რომ სულ რუსულად ლაპარაკობდა და რომ ყური მიგეგდოთ, გეგონებოდათ შუა გულ კახეთის სოფელში კი არა, რომელიმე რუსეთის ცენტრში ვარო. საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ კახეთში სოფლად (ინტელიგენცია და—არისტოკრატია) თუ კი შენიშნა რომ რუსული იცი რაც გინდ ეცადო, ქართულად კრინტს ვერ დააძვრევინებ და თუ სადმე ხიდია ჩატეხილი ჩვენებურ ინტელიგენტთა და ხალხს შორის, ეს პირველად კახეთში. ეს გარემოება ავალებდა ხალხის მოჭირნახულეთ ყოველთვის ისარგებლონ შემთხვევით და ისე მოაწყონ ხოლმე საქმე, რომ ამ გვარ საღამოებზედ მაინც შეხვდნენ ერთმანეთს და დაუახლოვდნენ. თუ რაიმე მიზეზით ეს არა ხერხდება, მაშინაც ყოვლად შეუძლებელია ხალხის დავიწყება. ამ შემთხვევაში ან ეგრედ წოდებული „გენერალური" რეპეტიცია იქნას გადადებული ხალხისთვის უფასოდ ან კიდევ შემდეგ იქმნას მათთვის საკუთრად გამეორებული. ამასთანავე ყოველთვის უკეთესი იქნება რომ წარმოდგენას წინ უძღოდეს პიესის განმარტება და საცა საჭიროა, პიესის ავტორის გაცნობა —რაც გაუადვილებს მსმენელთ პიესის შეგნებას და ავტორს მოუპოებს პოპულიარობას. აგრეთვე სასარგებლოა რჩეულ ლექსების წაკითხვა. მხოლოდ ამგვარ საღამოს გამართვას ექნება მნიშვნელობა ხალხისთვის. **მროველი.**

## რუსეთი

✦ **ცირკულიარი ებრაელებზე.** სახალხო განათლების მინისტრმა ყველა სასწავლო ოლქების მზრუნველთ დაუგზავნა ცირკულიარი, სადაც წინადადებას აძლევს—აცნობონ ებრაელებს, რომლებიც მიდიან პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან სათხოვნელად, რომ მიიღონ უმაღლეს სასწავლებლებში ერთხელვე გადაწყვეტილ ნორმაზე ზევით—ტყუილად ნუ შესწუხდებიან, რადგან არც მინისტრი და არც მინისტრის ამხანაგი არავის არ იღებენ, ვინც ამგვარის თხოვნით მიჰმართავს მათ.

✦ **გენ. დუმბაძე.** როგორც მკითხველთ ეცოდინებათ, გენ. დუმბაძე გაანთავისუფლეს იალტის მბრძანებლობიდან. ეხლა იგი კისლოვოდსკში მიემგზავრება დასასვენებლად. ამბობენ, რომ კისლოვოდსკაში პურიშკევიჩი და ის ერთად გაატარებენ დროსაო. შემდეგ კი, როგორც თვით დუმბაძე ჰფიქრობს, ან რომელიმე დასავლეთ სიმაგრეში დანიშნავენ კომენდანტად ან სასახლეში მისცემენ რაიმე თანამდებობას. დუმბაძის დასვენებით ალბად იალტაც დაისვენებს და თავისუფლად ამოისუნთქავს.

✦ **ქურდობა პეტრე-პავლეს ტაძარში.** პეტერბურგში ამ დღეებში სამხედრო საოლქო სასამართლოში გაარჩევენ საქმეს ვერცხლის გვირგვინების მოპარვის შესახებ პეტრე-პავლეს სამეფო ტაძრიდან. პასუხისგებაშია მიცემული ოთხი ჯარის-კაცი. მთელი ტაძრის ყველა კედლები და სვეტები სავსე არის ვერცხლის გვირგვინებით. ყველა კუთხეში რამდენიმე დარაჯი სდგას და გამოსვლის დროსაც რამდენიმე ეზო უნდა გამოიაროს კაცმა, რომელთაც ყველგან ჯარის-კაცები ჰდარაჯობენ. ბრალდებულებს სულ მიუპარიათ ცამეტი გვირგვინი. უპარავთ სისტემატიურად დარაჯობის დროს.

**„სიცოცხლე მომბეზრდა".** ოდესაში ექიმ ალექსანდროვსკის ოჯახში საშინელი უბედურობა მომხდარა. უეცრად სადღაც დაკარგულა მისი უფროსი შვილი ნიკოლოზი, რომელსაც თან წაუყვანია მეორე ძმა ვასილი 5 წლისა. რამდენიმე ხნის შემდეგ უპოვნიათ ორივე შვილის უსულო გვამი. წერილები გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზი სულიერ ავადმყოფობით ყოფილა შეპყრობილი და მოუკლავს თავისი თავიც და ძმაც. თითონ მკვლელობა ასე მომხდარა. ჯერ ხელი უკრავს თავის პატარა ძმისათვის და გადაუჩეხია ქვის სამტვრევში. შემდეგ გაუხდია, თავიდან ფეხებამდე გაშიშვლებულა, დაულევია ნახევარ ბოთლი საწამლავი და გადავარდნილა, სადაც ძმა გადააგდო. ვერაფრით ვერ აეხსნათ ეს საშინელი ამბავი. არ იციან, თუ რამ აიძულა მოეკლა თავი და თავისი პატარა ძმა. თურმე ნიკოლოზი ბოლო დროს ხშირად ეუბნეოდა ხოლმე დედმამას, მოიცადეთ, ვეცდები მალე „შეგიმსუბუქოდ" სიცოცხლეო. აღსანიშნავია, რომ ექიმს მატერიალურად ცხოვრება გაჭირვებული არა ჰქონდა. ნიკოლოზი მეტად დაღალულა 1905 წელს და ბოლოს იქამდის მივიდა რომ „მობეზრდა სიცოცხლე"-ო.

## წერილი რედ. მიმართ

ბათუმის ქართულ ჟურნალ-გაზეთების ზოგიერთ მკითხველთა საყურადღებოთ.

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგს:

მეტად უმადური ჟურნალ-გაზეთების გამყიდველის შრომა. დარბიხარ—დილიდან საღამომდე, სიცხეში, წვიმაში, და ასეთი მძიმე შრომის ფასსაც კი ვერ იღებ თავის დროზე. მესამე წელიწადია რაც ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეს მოვკიდე ხელი და ამ ხნის განმავლობაში ბევრსა ჰმართებს ჟურნალ-გაზეთების ხვედრი ფული. რამდენჯერმე მივმართე მათ პირადათ და გაზეთების საშვალებითაც (იხილე „ჩანგი" № 43 და Батум. вѣсти № 163) და არავინ ყურადღებას არ აქცევენ. ამის გამო ვერც მე გაუსწორდი თავის დროზე პირნათლათ როგორც ადგილობრივ აგენტებს, აგრეთვე რედაქციებსაც. ამ წერილით ერთხელ კიდევ მივმართავ იმ პირებს უმორჩილესი თხოვნით, გამისწორონ ანგარიში. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ საშვალებას არ მომცემენ გაუსწორდე, ადგილობრივ აგენტებს და რედაქციებს იძულებული ვიქნები მათი სახელი და გვარი გამოვაცხადო გაზეთების ფურცლებზე.

პატივის ცემით **პავლე დ. სამსონია.**

## განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6-7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისიდან.
იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და ... ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—15)

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისას 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | |
|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 |
| | N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 |
| | N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 |
| | N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. 8 ს. 28 |
| | სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 |

**ტფილისში მოდის**

| | |
|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 |
| | N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 |
| | N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 |
| | N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. 6 ს. 28 |
| | სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 |

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
**მოსავალი**
**წელიწადი მეორე**
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დასაწყისში გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали"

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
**„ნაკადული"**
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის
გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები»—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი ძმა"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა სამი მანეთი; **საზღვარ-გარეთ:** წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო
✦ ჟ უ რ ნ ა ლ ს ✦
**„განათლება"**-ზე
(წელიწადი მესამე)
ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გაეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს სამ ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებელთათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"—**ივანე ბვალიშვილთან,** „ნაკადულის" რედაქციაში და კერძო აგენტებთან.
**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**
**სწორე და მკვიდრი საათები!**
**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**
ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ბ ი ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14⁰/₀ ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი სვლა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უცვლელი საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედლით „სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამბარით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (52—6.